



ISFED

სამართლიანი არჩევნებისა
და დემოკრატიის საერთაშორისო
საზოგადოება

პრესის წინასაარჩევნო მონიტორინგი

15 ივლისი - 15 აგვისტო 2013

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროკავშირის მხარდაჭერით განაგრძობს პრესის წინასაარჩევნო მონიტორინგს პროექტის „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის“ ფარგლებში და წარმოადგენს 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე პირველ შუალედურ ანგარიშს, რომელიც მოიცავს პერიოდს 15 ივლისიდან 15 აგვისტომდე.


მონიტორინგი გაგრძელდება 15 ნოემბრამდე და დროის ამ მონაკვეთში ორგანიზაციის მედია მონიტორები დააკვირდებიან შემდეგ გამოცემებს: „რეზონანსი“, „24 საათი“, „ახალი თაობა“, „ახალი ვერსია“, „ალია“, „კვირის პალიტრა“ და „ასავალ-დასავალი“.

მასალის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- გაზეთები თავს არ არიდებენ არც ერთ აქტუალურ თემას და მათზე წარმოადგენენ როგორც ნიუსებს, ისე სხვადასხვა სახის ანალიტიკურ მასალას გარდა „24 საათისა“, სადაც აშკარაა ანალიტიკური მასალის სიმწირე.
- საარჩევნო თემატიკა აქტუალურია, თუმცა ჯერ კანდიდატების პროგრამებისა და დაპირებების განხილვა არ მიმდინარეობს.
- ყველაზე მეტი ყურადღება გამოცემებში ეთმობა პრეზიდენტს, პრემიერს, კოალიცია ქართულ ოცნებას, ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და მთავრობას. მათ მიმართ დომინანტურია ნეიტრალური ტონი, თუმცა საკმაოდ მაღალია ნეგატიური ტონის მაჩვენებელიც.
- ნეგატიური ტონი პრემიერისა და კოალიცია ქართული ოცნების მიმართ გაიზარდა საანგარიშო პერიოდის ბოლო მონაკვეთში, რაც ნაწილობრივ უკავშირდება ბაჩო ახალაისთვის გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.
- არაეთიკური გამოთქმები და დისკრიმინაციული დამოკიდებულება სხვადასხვა ადამიანისა თუ ადამიანთა ჯგუფის მიმართ კვლავ ფიქსირდება „ასავალ-დასავალსა“ და „ალიაში“.
- „ახალი ვერსია“ ერთადერთი გამოცემაა, სადაც მონიტორინგის პერიოდში ჟურნალისტური გამოძიება გამოქვეყნდა.

რეზონანსი

„რეზონანსი“ ყოველდღიურ რეჟიმში აშუქებს მიმდინარე მოვლენებს და ცდილობს მრავალმხრივი და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს მკითხველს. „რეზონანსი“ გამოირჩევა წყაროთა მრავალფეროვნებით, რაც პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს, ვინაიდან გამოცემა პოლიტიკურ სუბიექტებს საშუალებას აძლევს წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩეველს გააცნონ თავიანთი პოზიცია აქტუალურ პოლიტიკურ თემებზე¹. პოლიტიკური სუბიექტების გარდა, ყურადღება ეთმობოდა სხვადასხვა ექსპერტის მოსაზრებების გაშუქებას.



„რეზონანსში“ სუბიექტები ძირითადად ნეიტრალურად შუქდება. მსგავსი ტენდენცია შეინიშნებოდა გასული წლის წინასაარჩევნო მედია მონიტორინგის დროსაც თუმცა, მაშინ გამოცემა უფრო მეტად კრიტიკული იყო ძველი ხელისუფლების მიმართ.

მიმდინარე წელს ასევე არ ვლინდება მიკერძოება რომელიმე პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ. საანგარიშო პერიოდში გახშირდა კრიტიკა ძველი და ახალი ხელისუფლების წარმომადგენელთა კოაბიტაციის მიმართ. ამ საკითხზე საკმაოდ ხშირად საუბრობენ რესპონდენტები ნეგატიურად. არჩევნების მოახლოებასთან ერთად მატულობს ამ

¹ სუბიექტების სიმრავლის გამო, დიაგრამაზე გამოტანილია მხოლოდ ის სუბიექტები, რომელთაც გამოცემაში 2% ან მეტი დაეთმო.

საკითხისადმი მიძღვნილი სტატიების რაოდენობაც, თუმცა გამოცემა ფოკუსირებული არ არის მხოლოდ ერთი რომელიმე კანდიდატის გაშუქებაზე.

საანგარიშო პერიოდში ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევა არ გამოვლენილა. ჟურნალისტები თავს იკავებენ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისგან ცალკეული სუბიექტისა თუ მოვლენის მიმართ თუ სტატია არ ქვეყნდება „მოსაზრების“ რუბრიკაში. ასეთ დროსაც კრიტიკა არ ხდება არაეთიკური გამოთქმებისა და დისკრიმინაციული განცხადებების მეშვეობით.

გამოცემამ გააშუქა ყველა მიმდინარე მოვლენა, ხოლო საზოგადოებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან თემებს რამდენიმე დღის განმავლობაშიც განიხილავდა. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე არჩევნებს რამოდენიმე ნომერში ვრცელი სტატიები მიეძღვნა, ასევე მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგებს.

24 საათი


24 საათი რეზონანსის მსგავსად ყოველდღიური გაზეთია. გამოცემაში აისახა თითქმის ყველა აქტუალური მოვლენა, რომელიც საანგარიშო პერიოდში მოხდა, თუმცა სტატიები არ სთავაზობს მკითხველს სიღრმისეულ ანალიზს. იგი აწვდის მხოლოდ ფაქტობრივ ინფორმაციას მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მწირი ანალიტიკური მასალისა, „24 საათის“ სტატიებს, რომელიც თავად გამოცემის ჟურნალისტების მიერაა დაწერილი და არა საინფორმაციო სააგენტოდან აღებული, ყოველთვის ჰყავთ თემასთან დაკავშირებული რამოდენიმე წყარო. შედეგად მკითხველს საშუალება აქვს სხვადასხვა მხარის პოზიციას გაეცნოს.

საინტერესოა, რომ ამ გამოცემაში არჩევნები როგორც თემა არ იკვეთება. საპრეზიდენტო კანდიდატები გვხვდება მხოლოდ სხვადასხვა თემაზე კომენტარებისას.

„24 საათში“ არ ფიქსირდება ტონების მრავალფეროვნება, თითქმის ყველა სუბიექტი ნეიტრალურადაა გაშუქებული. საყურადღებოა, რომ გამოცემა რაოდენობრივადაც ცდილობს ყველა სუბიექტს თანაბარი ფართობი დაუთმოს, განსაკუთრებით ძირითად პოლიტიკურ ფიგურებს. (კოალიცია ქართული ოცნება და ნაციონალური მოძრაობა 13-13%, ხოლო პრემიერი და პრეზიდენტი 12-12%)

24 საათში სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობი
(სულ 18632 კვ.სმ)



„24 საათში“ ერთი თვის მანძილზე არ დაფიქსირებულა ფოტოთი მანიპულირების შემთხვევა. ზოგადად, გამოცემაში ფოტო მასალის რაოდენობა ძალიან მცირეა, თუმცა მაშინაც კი, როცა სტატიას ილუსტრაცია ახლავს, ის ყოველთვის ნეიტრალურია.


ერთის მხრივ, პოზიტიური შეფასება შეიძლება გაკეთდეს, რომ გამოცემა არ ცდილობს, მკითხველს საკუთარი პოზიცია მოახვიოს თავს, თუმცა მასალები იმდენად ზედაპირულია, რომ მკითხველი მაინც ვერ იღებს საკმარის ინფორმაციას ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წინასაარჩევნო პერიოდში.

ახალი თაობა

„ახალი თაობა“ სხვა ყოველდღიური გამოცემების მსგავსად აშუქებს ყველა მიმდინარე მოვლენას და გარდა ნიუსებისა მკითხველს სთავაზობს როგორც ანალიტიკურ სტატიებს, ისე ინტერვიუებს რესპონდენტების საკმაოდ ფართო სპექტრთან.

მონიტორინგის სუბიექტებს შორის მთავრობა, პრეზიდენტი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გაშუქდა ყველაზე აქტიურად. თუ პირველი მათგანის მიმართ ტონი მეტწილად ნეიტრალურია, პრეზიდენტი და საპარლამენტო უმცირესობა თითქმის თანაბრად შუქდება ნეიტრალური და ნეგატიური ტონით.

ახალ თაობაში სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობი ტონის მიხედვით (%)



გამოცემაში ერთ-ერთი მთავარი თემა საანგარიშო პერიოდში საპრეზიდენტო არჩევნები და კანდიდატების გამარჯვების შანსები იყო. კანდიდატებს შორის ყველაზე მეტი ფართობი დაეთმოთ ნინო ბურჯანაძეს, გიორგი მარგველაშვილსა და დავით ბაქრაძეს. ტონის თვალსაზრისით, ძირითადად ნეიტრალური ტონი ჭარბობს, თუმცა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის მიმართ 36% ნეგატიური ტონიც დაფიქსირდა.

„ახალ თაობაში“ ერთი თვის განმავლობაში ფოტოთი მანიპულირების შემთხვევა არ ყოფილა. თუმცა სტატიებს თითქმის ყოველთვის ახლავს თემატურად რელევანტური ილუსტრაცია, რაც დამატებით ინფორმაციას აწვდის მკითხველს რესპონდენტის ან სტატიაში განხილული საკითხის მიმართ.

„ახალი თაობის“ ჟურნალისტები უმეტესად კორექტულად და ნეიტრალური ენით წერენ, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ირონიული გამოთქმებიც გვხვდება. მაგალითად: „დაწიოკებულმა ჩიორამ მტარვალი პაპუაშვილის საქმის განხილვა მოისურვა“; „ნაცმოძრაობამ შექმნა გნიასი.“

ახალი ვერსია

გაზეთი „ახალი ვერსია“ კვირაში სამჯერ გამოდის და მიმდინარე პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მოვლენებს აშუქებს. გამოცემამ 19 ივლისიდან 19 აგვისტომდე შეისვენა, რის შედეგადაც საანგარიშო პერიოდში დაკვირვების ქვეშ მოექცა გაზეთის მხოლოდ 3 ნომერი.


უნდა აღინიშნოს, რომ „ახალ ვერსიას“ უყურადღებოდ არ დაუტოვებია მიმდინარე კვირის არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა. მოკლე ნიუსების, მიმდინარე მოვლენების ანალიზისა და ინტერვიუების გარდა, გაზეთი ჟურნალისტურ გამოძიებებსაც აქვეყნებს, რაც პოზიტიურად უნდა შეფასდეს, ვინაიდან სხვა ბეჭდურ გამოცემებში ასეთი ტიპის სტატიები არ გვხვდება. ერთი კვირის ვადაში ორი ჟურნალისტური გამოძიება გამოქვეყნდა „ახალი ვერსიის“ ფურცლებზე.

გამოცემამ პოლიტიკური პარტიების ფართო სპექტრი გააშუქა. საპარლამენტო პარტიების გარდა ფართობი დაეთმოთ არასაპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებს, რომლებიც აანალიზებდნენ მოვლენებს და საუბრობდნენ თავიანთი პარტიების სამომავლო გეგმებზე.

პარტიებს შორის და ზოგადად, მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე მეტი სივრცე ერთიან ნაციონალური მოძრაობას დაეთმო, რაც ნაწილობრივ უკავშირდება პარტიაში მიმდინარე პრაიმერს. ამ სუბიექტის მიმართ მართალია, ნეიტრალური ტონი ჭარბობს, მაგრამ საკმაოდ მაღალია პოზიტიური (17%) და ნეგატიური (21%) ტონებიც.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გარდა აქტიურად გაშუქდა მთავრობა, რომლის მიმართაც მნიშვნელოვნად მაღალია დადებითი გაშუქების მაჩვენებელი (30%) და ასევე ნიწო ბურჯანაძე, რომელსაც ყველაზე მეტი ფართობი დაეთმო საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის.

ახალ ვერსიაში სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობი
ტონის მიხედვით (%)



საყურადღებოა „კოალიცია ქართული ოცნების“ მკვეთრად ნეგატიური გაშუქება (77%), რაც მნიშვნელოვანწილად უკავშირდება პარტიების დაფინანსების თემას, როდესაც არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები ღიად გამოხატავენ უკმაყოფილებას და აკრიტიკებდნენ მმართველ პარტიას იმ საკანონმდებლო ინიციატივის გამო, რომლის საფუძველზეც პარლამენტის გარეთ დარჩენილ პარტიებს დაფინანსება შეუწყდება.

„ახალი ვერსიის“ ჟურნალისტები ცდილობენ არ დაარღვიონ ჟურნალისტური ეთიკის ნორმები და მიაწოდონ მკითხველს ამომწურავი ინფორმაცია თემასთან დაკავშირებით. თუმცა მონიტორინგის პერიოდში დაფიქსირდა ცალკეული შემთხვევები, როდესაც ინფორმაციის გავრცელება მოხდა დაუზუსტებელ ან გაურკვეველ წყაროზე დაყრდნობით.

ვრცელ ანალიტიკურ სტატიებში ბალანსი უმრავლეს შემთხვევაში დაცულია. სტატიის ავტორები მაქსიმალურად ცდილობენ განსხვავებული ხედვები და პოზიციები აჩვენონ. ინტერვიუების თვალსაზრისით კი, რომლებიც უხვად არის „ახალ ვერსიაში“, რესპონდენტების სიმრავლე და მრავალფეროვნება შეინიშნება.

ალია

„ალია“ წელს უფრო ინტენსიურად გამოდის - კვირაში 4 ნომერი, რაც საშუალებას აძლევს რედაქციას უფრო სწრაფი იყოს ახალი ამბების გაშუქებასა და მკითხველისთვის მათი ანალიზის მიწოდებაში.

„ალია“ გამოირჩევა კრიტიკული დამოკიდებულებით თითქმის ყველა პოლიტიკური სუბიექტის მიმართ. კრიტიკა და ნეგატიური დამოკიდებულება სუბიექტების მიმართ ვლინება არა მხოლოდ რესპონდენტების მხრიდან, არამედ თავად ჟურნალისტების მხრიდანაც. მთავრობის და ზოგადად, პოლიტიკოსების კრიტიკა ჟურნალისტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, თუმცა „ალიას“ ჟურნალისტები ეთიკის ნორმებს სცილდებიან და ცალკეულ სუბიექტებს შეურაცხყოფელი ეპითეტებით მოიხსენიებენ.

მაგალითად, „ეპ, მიხეილ, შენ რომ გაქვს სხვა სახის პრობლემები და შეკრულიც ხარ ათასი ჯურის გადამთიელთან, აი ესაა ჩვენი უბედურება! რომელ პასუხისმგებლობაზე ლაპარაკობ გაბრუებულ ნაცარქექიავ? შენ რომ პასუხისმგებლობის გრძნობა გქონდეს, ბათუმის პორტიდან დედაშენის სახლში კი არ გაიქცეოდი, გლდანის საპყრობილეში ჩაჯდებოდი საკუთარი ფეხით!“

„ალიაში“ ნიუსების ფორმატით ყველა აქტუალური მოვლენა შუქდება, ხოლო ინტერვიუებითა და ვრცელი სტატიებით ჟურნალისტები ცდილობენ გააანალიზონ არსებული ვითარება. ანალიტიკურ სტატიებში საკმაოდ ხშირია საუბარი კობიტაციის ნეგატიურ ჭრილში. ინტერვიუებშიც ხშირად სთხოვენ ჟურნალისტები რესპონდენტებს კომენტარის გაკეთებას ძველი და ახალი პოლიტიკური გუნდების თანაარსებობის შესახებ. მანანა კობახიძეს ჟურნალისტი ასეთ კითხვასაც უსვამს: „რატომ გვამალებთ ნაციონალებთან თანაცხოვრებას?“

ჟურნალისტები ასევე ძალიან ხშირად საუბრობენ პრეზიდენტის ჯანმრთელობის თემაზე, კერძოდ მის ფსიქიურ მდგომარეობაზე. ასევე ხდება მასზე, როგორც კრიმინალურ დამნაშავეზე საუბარი.

„თავის მართლება ვეღარ გიშველის გიჟოოო! მიხოოო, შენ რომ ტვინი გქონდეს, ლავრენტი ბერიას თავს როგორ შეადარებდი, მაგრამ უკვე ისე აგერია რამსები, აღარ იცი, რა ილაპარაკო... მიშა, დამდამობით სიზმარში "ნარუჩნიკების" ჟღარუნს ხომ არ გაფეთებს, "ნაცვირთხების" ატამანო..“


ამ გამოცემაში იკვეთება სიძულვილი სექსუალური უმცირესობების მიმართაც. ორიოდე მაგალითი: „ცნობილია, რომ ის დასანახად ვერ იტანს პიდარასტებს, და ვერც უნდა იტანდეს.“ „რასმუსენისთვის ქართველი პედარასტების დუნდულების უსაფრთხოება და ლესბოსელების ვარდისფერი სექსი ისეთივე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, როგორც ანტიტერორისტული მისიები ნატოსთვის.“

ასეთი ტიპის დისკრიმინაციული განცხადებები პირდაპირ არღვევს ჟურნალისტურ ეთიკას, უფრო ზუსტად კი ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიის მე-7 მუხლს, რომელიც ჟურნალისტს ავალდებულებს არ მოახდინოს ადამიანთა დისკრიმინაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.

სააგნარიშო პერიოდში „ალიას“ სტატიებში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ინფორმაციის წყარო გაურკვეველი დარჩა მკითხველისთვის. ზოგ შემთხვევაში წყარო სანდო

პირია, რომელიც კულუარულ ინფორმაციას აწვდის ჟურნალისტს, ზოგჯერ კი აბსტრაქტული („გავრცელებული ინფორმაციით“, „ცნობილია, რომ..“).

როგორც უკვე აღინიშნა, ჯერჯერობით „ალია“ უფრო მეტ აქცენტს აკეთებს ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლის გამუქებაზე, ვიდრე საპრეზიდენტო კანდიდატების აქტივობის ჩვენებაზე. ამ გაზეთის ფურცლებზე სუბიექტები ძალიან იშვიათად გვხვდებიან პოზიტიურ კონტექსტში, ძირითადად ისინი ნეიტრალურად ან ნეგატიურ ტონში შუქდებიან.




კვირის პალიტრა

„კვირის პალიტრა“ კვირაში ერთხელ გამოდის, რაც საშუალებას აძლევს რედაქციას ორიენტირებული იყოს უფრო მეტად ანალიტიკურ მასალაზე, ვიდრე ნიუსებზე. გამოცემა უყურადღებოდ არ ტოვებს არც ერთ აქტუალურ თემას. გარდა პოლიტიკური მოვლენებისა, გაზეთის ფოკუსში საანგარიშო პერიოდში მოხვდა სხვა მიმდინარე საკითხებიც, როგორც იყო მაგ. უნივერსიტეტის არჩევნები. ამ თემასთან დაკავშირებით გამოცემა დამატებით შეიცავდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთს ჩანართის სახით, რისი საშუალებითაც მკითხველს ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდა სასწავლებელში რექტორის არჩევნებისა და კანდიდატების შესახებ.

პოლიტიკური თვალსაზრისით კი, გამოცემაში ხშირად ქვეყნდება ინტერვიუები სხვადასხვა ექსპერტთან, რომლებიც აანალიზებენ მიმდინარე მოვლენებს. ასეთი ტიპის სტატიები მკითხველს უადვილებს, პერსპექტივაში დაინახოს ცალკეული პოლიტიკური მოვლენა.

გამოცემა განსაკუთრებით კრიტიკულია პრეზიდენტის მიმართ. ერთ-ერთ ნომერში ვრცელი სტატია მიემდვნა მიხეილ სააკაშვილის ფსიქიური მდგომარეობის განხილვას, რაზეც პეტრე მამრამე ვრცლად მსჯელობდა. საანგარიშო პერიოდის ბოლო მონაკვეთში კი იმატა კრიტიკამ კოალიცია „ქრთული ოცნებისა“ და მთავრობის მიმართ. ეს ტენდენცია ნაწილობრივ უკავშირდება ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესს, რის შემდეგაც რესპონდენტების მხრიდან გახშირდა კოაბიტაციაზე ნეგატიურ კონტექსტში საუბარი.


სუბიექტების გაშუქება კვირის პალიტრაში ტონების მიხედვით (%)



„კვირის პალიტრაში“ საპრეზიდენტო კანდიდატების შესახებ ნეიტრალური მასალა გვხვდება. გამოცემა ცდილობს მრავალმხრივი ინფორმაციით უზრუნველყოს მკითხველი არა მხოლოდ ცალკეულ სტატიაში, არამედ მთლიანად ნომერში.

ასავალ-დასავალი

2012 წლის მონიტორინგის მსგავსად „ასავალ-დასავალი“ წელსაც გამოირჩევა კრიტიკული დამოკიდებულებით პოლიტიკური სუბიექტების მიმართ. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ გამოცემა მიკერძოებული იყო „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ. ამ ძალას და ბიძინა ივანიშვილს წარმოაჩენდა, როგორც საქართველოს გადამრჩენელს. არჩევნების შემდეგ კი მონიტორინგის შეწყვეტამდე (1 თვის განმავლობაში) ისევ განაგრძობდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და პრეზიდენტის კრიტიკას. 2013 წლის მონიტორინგის პირველ პერიოდში კი უკვე შეინიშნება მოქმედი მმართველი ძალის კრიტიკაც, თუმცა გამოცემისთვის ჯერ კიდევ აქტუალურია პრეზიდენტის მკვეთრად ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიება. ეს ნათლად ჩანს სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონის მიხედვით განაწილების დიაგრამაზეც.



საკმაოდ ხშირია კოაბიტაციის შესახებ უარყოფით კონტექსტში საუბარი. რესპონდენტებიც და ჟურნალისტებიც მკვეთრად აკრიტიკებენ მმართველ პარტიას ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან კონსტრუქციული დამოკიდებულების გამო.

„ასავალ-დასავალში“ 2012 წლის მსგავსად საკმაოდ ხშირად გვხვდება არაეთიკური გამოთქმები და შეურაცხყოფა სხვადასხვა პოლიტიკოსის მიმართ. "ბარამიძე არის მშიშარა, არაკაცი, რომელმაც ზურას მკვლელობის გამოსაძიებლად არაფერი გააკეთა."


გამოცემა ასევე არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებს საკმაოდ ხშირად დამნაშავეებად მოიხსენიებს.



„ნაციონალურ მოძრაობას“ კბილაშვილის თანამდებობიდან გადაყენება რომ უნდა ეს ბუნებრივია, რადგან სისხლის სამართლის დამანაშავეებს არ შეიძლება მთავარი პროკურორი გულზე ეხატებოდეთ“.

გამოცემა დიდ ყურადღებას არ უთმობს მოწოდებული ფაქტების გადამოწმებას. იმისათვის, რომ ფაქტი უტყუარ ინფორმაციად მიეწოდოს მკითხველს, საკმარისად მიიჩნევენ თუნდაც ერთი ანონიმური წყაროს მიერ ფაქტის დადასტურებას, ზოგ შემთხვევაში კი ასეთი წყაროც კი არ არის, მაგრამ მოვლენაზე მაინც ისე საუბრობენ, როგორც უტყუარ ფაქტზე.

დასკვნა

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ რაოდენობრივი თვალსაზრისით ყველაზე აქტიურად შუქდებოდნენ პრეზიდენტი, პრემიერ მინისტრი და მთავრობა. მათი გაშუქება სხვადასხვა გამოცემაში ტონების მიხედვით ასეთი იყო :





2013 წლის 15 ივისიდან 15 აგვისტომდე პრესის მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ დაკვირვების ქვეშ მყოფი ბეჭდვითი გამოცემების უმრავლესობა დიდ ყურადღებას უთმობს ჟურნალისტური სტანდარტების დაცვას და მკითხველის უზრუნველყოფას რელევანტური ანალიტიკური ინფორმაციით.

არჩევნების თემა თანდათან აქტუალური ხდება გაზეთებში, თუმცა ჯერჯერობით ყურადღება გადატანილია მმართველი პარტიის, საპარლამენტო ოპოზიციის, მთავრობის, პრეზიდენტისა და პრემიერ მინისტრის აქტივობებზე. ნაკლები ყურადღება ეთმობა საპრეზიდენტო კანდიდატებს, განსაკუთრებით კი იმ კანდიდატებს, რომლებიც ნაკლებად ცნობილი არიან საზოგადოებისთვის და არ წარმოადგენენ რომელიმე ძლიერ პოლიტიკურ პარტიას.

2012 წლის მონიტორინგისგან განსხვავებით წელს ფოტოთი მანიპულირების შემთხვევები შემცირებულია იმ გამოცემებში, სადაც საპარლამენტო არჩევნების წინ უხვად გვხვდებოდა, ხოლო გამოცემათა უმრავლესობაში საერთოდ არ გვხვდება.

მნიშვნელოვან პრობლემად რჩება არაეთიკურ გამოთქმები პოლიტიკოსების მიმართ და დისკრიმინაციული დამოკიდებულება სხვადასხვა უმცირესობისადმი.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება პროექტის „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის“ ფარგლებში განაგრძობს ქართული ბეჭდვითი გამოცემების მონიტორინგს და მორიგ ანგარიშს წარმოადგენს 2013 წლის სექტემბერში.